აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის

2021-2022 წლების
სამოქმედო გეგმა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

UNDP

სამოქმედო გეგმა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მისი ავტორი და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოკრატიული და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას და ადამიანის უფლებების დაცვას, როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ისე ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის გზით. ამ მიზნების განსახორციელებლად კომიტეტი მონაწილეობს უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტების ან/და სხვა აქტების პროექტების განხილვასა და დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს. ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. კომიტეტი მუდამ მზადაა უზრუნველყოს საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობა.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კომიტეტის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს 2021-2022 წლებისთვის. გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ეფუძნება კომიტეტის წარსულ გამოცდილებას, ითვალისწინებს არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. კომიტეტის სამოქმედო გეგმის მიზანია მომდევნო ორი წლის განმავლობაში დასახოს მკაფიო, რეალისტური სტრატეგიული მიმართულებები სათანადო მოქნილობით, რათა კომიტეტმა შეძლოს რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირება.

კომიტეტმა 2021-2022 წლებისთვის შემდეგი **სტრატეგიული მიზნები** დაისახა:

1. კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება
2. კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება
3. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა
4. კომიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობას წარმართავს და დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს კომიტეტი ხუთი წევრის და აპარატის ხუთი თანამშრომლის შემადგენლობით.

სტრატეგიული მიზანი 1:
კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლეს საბჭოს პლენარული სხდომისთვის ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს. შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს.

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა დამატებით გაძლიერებას საჭიროებს. შესაბამისად, კომიტეტი ხშირად მოაწყობს შეხვედრებს საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, ხელს შეუწყობს დისკუსიას სხვადასხვა პრობლემურ თემაზე და ძალისხმევას მიმართავს პრობლემური საკითხების საკანონმდებლო გზით გადაწყვეტისკენ. შემუშავებული სამოქმედო გეგმით, კომიტეტის ხედვა და პრიორიტეტები კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სტრატეგიული მიზანი 2:
კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება

კომიტეტი უმაღლესი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად დანერგავს ზედამხედველობის ეფექტიან სისტემას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ ინსტრუმენტებს. მთავრობის საქმიანობაზე კომიტეტის სხვა მაკონტროლებელ ბერკეტებთან ერთად, კომიტეტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად მოისმენს მთავრობის წევრებისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშებს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. ამასთან, კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააძლიერებს შესაბამის უწყებებზე ფინანსურ (საბიუჯეტო) ზედამხედველობას.

სტრატეგიული მიზანი 3:
საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

კომიტეტი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამ მიზნით, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე რეგულარულად აისახება ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ. დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება, ადვილად მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, მათ შორის, სოციალური არხების მეშვეობით. ამავდროულად, კომიტეტი გაითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით გაწერილ ვალდებულებებს. კომიტეტს ასევე პრიორიტეტად მიაჩნია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უმაღლესი საბჭოს როლისა და მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

კომიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების, სამეცნიერო/აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლებთან. თანამშრომლობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, კომიტეტი უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 47-ე მუხლით გათვალისწინებული საკონსულტაციო საბჭოს შექმნას და მის ეფექტიან ფუნქციონირებას. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა აამაღლებს კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ზრდას უმაღლესი საბჭოს, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიმართ.

სტრატეგიული მიზანი 4:
კომიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებზე პასუხისმგებელ კომიტეტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს. გეგმით გათვალისწინებული ანგარიშვალდებულების სისტემა და პერიოდულობა კი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების თანმიმდევრულ და დროულ შესრულებას. გეგმა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალურად გადანაწილების (მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება), მუშაობის შეფასების და წახალისების მექანიზმების დანერგვის მნიშვნელობაზე. კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს შეუწყობს ასევე, კომიტეტის წევრების მიერ ცალკეულ თემებზე პასუხისმგებლობის ამაღლება და თემატური მომხსენებლის ინსტრუმენტის შემოღება.

კომიტეტი შეიმუშავებს მკაფიო ხედვას კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად და გაზრდის ძალისხმევას აპარატის თანამშრომელთა საჭირო ტრენინგებით, გამოცდილების გაზიარებისა და სტაჟირების შესაძლებლობებით უზრუნველსაყოფად, რაც დადებითად აისახება კომიტეტის საქმიანობის შედეგებზე. ამასთან, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით კომიტეტი უზრუნველყოფს აპარატის თანამშრომლების მონაწილეობას შესაბამის შეხვედრებში, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, ან დონორთა დახმარებით, კომიტეტმა შესაძლებელია კონკრეტულ თემებზე სამუშაოდ დაიქირაოს სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტებიც, რომლებიც იმუშავებენ კომიტეტის აპარატთან ერთად და ხელს შეუწყობენ კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.

წინამდებარე ორწლიანი სამოქმედო გეგმა კომიტეტმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით შეიმუშავა. კომიტეტის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში კომიტეტის წევრები და აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ კომიტეტის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს, კერძოდ - რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს, პროფესიული ორგანიზაციებისა და სხვადასხვა თემაზე მომუშავე აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კომიტეტის მომავალი ორი წლის პრიორიტეტები კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო საქმიანობის, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და შიდა ორგანიზაციული საკითხების სრულყოფის მიმართულებით განიხილეს 2021 წლის 22 ივნისს ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე დაინტერესებულ პირებთან, რომლის მიზანი საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების გეგმაში გათვალისწინება იყო.

კომიტეტი მომავალშიც უზრუნველყოფს ფართო საზოგადოების მონაწილეობას საკუთარ საქმიანობაში და რეგულარულად წარუდგენს საზოგადოებას ინფორმაციას წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა

1. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება

ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		პარტნიორი უწყებები	შესრულების ვადა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
	კომიტეტის წევრი	კომიტეტის აპარატი				
1. საქართველოს „პატიმრობის კოდექსში“, „საერთო სასამართლოების“ შესახებ საქართველოს კანონში და საქართველოს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების ინიციირება, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა და მათი ინტერესების დამცველების, ასევე ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით სასამართლოების ადმინისტრაციულ შენობაში შეხვედრის ოთახის გამოყოფასთან დაკავშირებით	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის სხვა წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე		ოქტომბერი-ნოემბერი, 2021	კანონპროექტი წარდგენილია აჭარის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტში ინიციირებისთვის	კანონპროექტი, კომიტეტის დასკვნა და სხდომის ოქმი
2. კომიტეტის კომპეტენციის სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე დასკვნების/შენიშვნების მომზადება	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები,	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, ეკატერინე ბერიძე		რეგულარულად	დასკვნები და შენიშვნები მომზადებულია	კომიტეტის დასკვნები, ოქმები
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე		ოქტომბერი-ნოემბერი, 2021	კანონპროექტი განხილულია / დასკვნა შემუშავებულია/ წარდგენილია ბიუროსთვის	კომიტეტის დასკვნები, ოქმები
4. საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ - უმაღლესი საბჭოს წევრის პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების თაობაზე	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე		საშემოდგომო სესია - 2021	კანონპროექტი განხილულია კომიტეტის მიერ; წარდგენილია საბჭოსთვის	მომზადებული კანონპროექტი; კომიტეტის დასკვნა

5. თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნა ბავშვთა უფლებების მიმართულებით საკანონმდებლო საკითხების მომზადების მიზნით	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე		საშემოდგომო სესია - 2021 / საგაზაფხულო სესია 2022	სამუშაო ჯგუფი შექმნილია; სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ჩატარებულია;	კომიტეტის სხდომის ოქმი სამუშაო ჯგუფის დებულება და შემადგენლობა; შეხვედრის დღის წესრიგი; მონაწილეთა სია
6. საკანონმდებლო საკითხების მომზადების მიზნით მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხის შესწავლა, თემატური მოკვლევა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, თამაზ ქობულაძე		საშემოდგომო სესია - 2021 საშემოდგომო/ 2022 საგაზაფ-ხულო სესია	ინფორმაცია გამოთხოვილია შესაბამისი უწყებებიდან	შესაბამისი შემოსული კორესპონდენ-ციები
2. საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება						
1. კომიტეტის მიერ წერილობითი შუამდგომლობის წარდგენა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს „პატიმრობის კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ ბრძანების გამოცემას, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პენიტენციურ დაწესებულებებში ან/ და N3 პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება მინიჭოს	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, მადონა ლომინაძე, ეკატერინე ბერიძე		სექტემბერი, 2021	შუამდგომლობა გაგზავნილია შესაბამის უწყებაში	შუამდგომ-ლობის წერილი
2. „2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციის მოსმენა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, მადონა ლომინაძე	სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი აჭარაში	სექტემბერი - ოქტომბერი, 2021	სხდომა ჩატარებულია დასკვნა მომზადებულია	კომიტეტის დასკვნა, სხდომის ოქმი
3. საქართველოს მთავრობის ანგარიშის განხილვა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების შესრულების თაობაზე	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, მადონა ლომინაძე	შესაბამისი უწყებები	ნოემბერი, 2021	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი; კომიტეტის დასკვნა
4. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, ეკატერინე ბერიძე,	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიურო	ოქტომბერ - ნოემბერი, 2021	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი

5. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით ვიზიტების განხორციელება პენიტენციურ დაწესებულებებში/N3 დაწესებულებაში	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე	N3 დაწესებუ-ლება	საჭიროები-სამებრ	ვიზიტი განხორციე-ლებულია	მედია გაშუქება, შესაბამის ანგარიშებში ასახვა
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, თამაზ ქობულაძე		2021 აპრილი-მაისი	ანგარიში განხილულია	კომიტეტის დასკვნა, ოქმი
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების განხილვა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, თამაზ ქობულაძე		2021 ივლისი -აგვისტო/ საშემოდგომო სესია	ანგარიში განხილულია	კომიტეტის დასკვნა, ოქმი
8. ბათუმის ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთ დაწესებულებაში დამხმარე სამედიცინო პერსონალისა და პაციენტთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ქობულაძე	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	ნოემბერი - დეკემბერი, 2021	გაერთიანებული სხდომა ჩატარებულია	კომიტეტის დასკვნა, ოქმი
9. ბათუმში სამშენებლო საწარმოებსა და მშენებლობაზე დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის მოსმენა ადგილზე. უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, თამაზ ქობულაძე, ეკატერინე ბერიძე	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	2022 თებერვალი - მარტი	ვიზიტი განხორციელებულია, ინფორმაცია მოსმენილია	ფოტო მასალა; ინფორმაცია ვიზიტის შესახებ საბჭოს ვებ-გვერდზე
10. ბავშვთა უფლებების დაცვისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების განხილვა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, მადონა ლომინაძე	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი	ნოემბერი - დეკემბერი, 2021	კომიტეტების გაერთიანებული სხდომა ჩატარებულია	კომიტეტის დასკვნა, სხდომის ოქმი
11. შშმ პირთა, ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის დაცვისთვის ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (გასვლითი სხდომა)	ცოტნე ანანიძე, ფატი ხალვაში, კომიტეტის სხვა წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, მადონა ლომინაძე	ადგილობრივი მუნიციპალი-ტეტები	მარტი - მაისი, 2022	გასვლითი სხდომები ჩატარებულია	კომიტეტის გასვლითი სხდომის ოქმები

12. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სავაჭრო და კვების ობიექტებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ქობულაძე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები	აპრილი, 2022	ადგილზე ვიზიტი განხორციელებულია	მედია გაშუქება, შედეგების ასახვა შესაბამის ანგარიშში
13. მოქალაქეთა შრომითი მოწყობისთვის აჭარის დასაქმების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე	აჭარის დასაქმების სააგენტო	ოქტომბერი - ნოემბერი, 2022	ანგარიში მოსმენილია; რეკომენდაციები შემუშავებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი; დასკვნა
14. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა აღრიცხვისა და მათთვის სახელმწიფო დახმარების გაწევის მდგომარეობის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციის მოსმენა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ქობულაძე	სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი	სექტემბერი, 2021	ინფორმაცია განხილულია	კომიტეტის სხდომის ოქმი
15. საჯარო უწყებებში დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული ბალანსის შესახებ ინფორმაციის მოძიება და განხილვა	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, მადონა ლომინაძე, ეკატერინე ბერიძე	უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	აპრილი, 2022	ინფორმაცია მოძიებულია და განხილულია სხდომაზე	მედია გაშუქება, შესაბამისი ოქმები
3. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა						
1. საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სფეროს ექსპერტების მონაწილეობით	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, ეკატერინე ბერიძე	არასამთავრობო ორგანიზაციები	2021 წლის საშემოდგომო სესია	საკონსულტაციო ჯგუფი შექმნილია პირველი სხდომა ჩატარებულია	მედია გაშუქება, საკონსულტაციო ჯგუფის დებულება; შეხვედრის მონაწილეთა სია
2. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის ანგარიშის შემუშავება 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ანგარიშის და მოხსენების წარდგენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის. მისი საჯაროობის მიზნით უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსება	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ქობულაძე, მადონა ლომინაძე, ეკატერინე ბერიძე		აგვისტო, 2021	ანგარიში მომზადებულია, წარდგენილია პლენარულ სხდომაზე ანგარიში ატვირთულია საბჭოს ვებ-გვერდზე	კომიტეტის ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ საბჭოს ვებგვერდი

3. მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა საჭიროებების შესაბამისად, მათთვის ეფექტიანი დახმარების გაწევის მიზნით, შემოსული განცხადებების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში საკითხის ადგილზე შესწავლა, სხვადასხვა უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვა ან/და შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ქობულაძე, მადონა ლომინაძე, ეკატერინე ბერიძე	სახელმწიფო უწყებები	რეგულარულად	საკითხები შესწავლილია და მომზადებულია შესაბამისი კორესპონდენციები საჭიროებისამებრ	მომზადებული წერილები და შუამდგომ-ლობები
4. კომიტეტის საქმიანობის შესახებ მედიის წარმომადგენლებისთვის პერიოდული ანგარიშის წარდგენა	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, მადონა ლომინაძე	ორგანიზაციები/ უწყებები, მედია საშუალებები	2021 ნოემბერი, 2022 ივნისი	შეხვედრა ჩატარებულია	მედია გაშუქება, მონაწილეთა სია
5. კომიტეტსა და აპარატში მოქალაქეთა მიღება და მათ განცხადებებზე რეაგირება	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე, მადონა ლომინაძე		რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია	მომზადებული წერილები და შუამდგომ-ლობები, კომიტეტის ყოველწლიური ანგარიში
6. არასამთავრობო ორგანიზაციების თემატური ანგარიშების მოსმენის/განხილვის პრაქტიკის დანერგვა დაინტერესებული პირების ჩართულობით	ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, ეკატერინე ბერიძე	არასამთავრობო ორგანიზაციები	საჭიროები-სამებრ	სხდომა ჩატარებულია	მედია გაშუქება, მონაწილეთა სია
7. სხვადასხვა თემაზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით	ცოტნე ანანიძე, ფატი ხალვაში	ბაკურ ბოლქვაძე, ეკატერინე ბერიძე, ირაკლი აბაშიძე		საანგარიშო პერიოდში რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია	მედია გაშუქება
8. არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველთან/წარმომადგენელთან, ასევე შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა/ კონსულტაცია საზედამხედველო საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით	ცოტნე ანანიძე, ფატი ხალვაში	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, ეკატერინე ბერიძე		2021 ნოემბერ დეკემბერი	შეხვედრები ჩატარებულია	მედია გაშუქება

4. კომიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება

1. კვლევითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით აპარატის თანამშრომლების შესაძლებლობათა გაძლიერება, გადამზადება	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე,	შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები; დონორი ორგანიზაციები, საერთაშორისო პარტნიორები	თებერვალი - მაისი, 2022	ტრენინგები ჩატარებულია	შესაბამისი ანგარიში; მონაწილეთა სია
2. კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე	შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები დონორი ორგანიზაციები, საერთაშორისო პარტნიორები	თებერვალი - მაისი, 2022	ტრენინგები ჩატარებულია	შესაბამისი ანგარიში
3. კომიტეტის სხდომების დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდზე	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ქობულაძე, ეკატერინე ბერიძე, მადონა ლომინაძე	უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები	რეგულარულად	დღის წესრიგი წინასწარ არის განთავსებული უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე	ვებგვერდი
4. საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაში კომიტეტის სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უზრუნველყოფა	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო	ივლისი, 2021	მიმართვა გაგზავნილია	წერილი
5. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმება კომიტეტში სტუდენტთა სტაჟირების პროგრამის დანერგვის მიზნით	ცოტნე ანანიძე	ბაკურ ბოლქვაძე	შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სექტემბერ-ოქტომბერი, 2021	შეთანხმება გაფორმებულია	მემორანდუმი